ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრი: მარიკა არევაძე

კომისიის წევრი: ცისმარი ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.07.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/20

1. **შეკითხვა:**

როგორც მოგეხსენებათ, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის (გასამრჯელოს) ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ შეიცავს.

ვინაიდან, საკმაოდ ხშირად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული მომსახურების დამკვეთ კლიენტს არ გააჩნია მატერიალური შესაძლებლობა საადვოკატო მომსახურების თანხის წინასწარ გადასახდელად, მასთან წერილობითი ხელშეკრულება ფორმდება, სხვა სათანადო პირობების შეთანხმებასთან ერთად, იმ დათქმით, რომ საქმის მოგების და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თანხის რეალურად

ამოღების ან ქონების საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში (როცა კლიენტი მოსარჩელეა) ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შემთხვევაში (როცა კლიენტი მოპასუხეა), კლიენტი ადვოკატს გადაუხდის მიღებული ან დაზოგილი თანხის (ქონების საბაზრო ღირებულების) გარკვეულ პროცენტს (მაგ. 10, 20, 30 პროცენტი).

აღნიშნული ფორმით რისკის გაწევა და საადვოკატო ჰონორარის მიღება (რაც, როგორც წესი იურიდიული მომსახურების დაწყებიდან 2-3 წლის შემდეგ ხდება), წარმოადგენს თუ არა წარმატების ჰონორარს, თუ წარმოადგენს არის თუ არა იგი კანონიერი.

2. ანალიზი:

ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის/წარმატების ჰონორარის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით კოლეგია მსჯელობს შემდეგი ნორმების ფარგლებში:

„ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი); ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი)

„ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8. მუხლი).

ადვოკატის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა ან სამომავლოდ, საქმის წარმატების დასრულების შემთხვევაში გადასახდელი საზღაურის გამოთვლის წესი და მისი დაკონკრეტება ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების საგანია და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმებით რაიმე დათქმა ამის თაობაზე არ არსებობს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საადვოკატოს მომსახურების პირობების თაობაზე შეთანხმებისას, მათ შორის ჰონორარის განსაზღვრის დროს ადვოკატის მიერ დაცული იყოს კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც მოიცავს ადვოკატის მიერ გასამრჯელოს, წარმატების ჰონორარის ოდენობის მკაფიოდ განსაზღვრას და აღნიშნულის თაობაზე კლიენტის ინფორმირებას.

ეროვნული რეგულაციისგან განსხვავებით, ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) აკონკრეტებს ჰონორარის ოდენობის გონივრულობის საკითხს - 3.4.1 მუხლი. „ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი“.

ადვოკატს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით უფლება არ აქვს აწარმოოს Pactum Quota de Litis, რომელიც ნიშნავს შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს

წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. Pactum Quota de Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ (იხ. (CCBE) - მუხლი 3.3.)

შესაბამისად, როგორც აღინიშნა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მსგავსს რეგულირებას ჰონორარის ანაზღაურების წესთან, მათ შორის წარმატების ჰონორართან, მისი ოდენობის სამართლიანად განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუმცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების გამოთვლის წესი წინასწარ აცნობოს კლიენტს და მისგან ჰქონდეს აღნიშნულზე ინფორმირებული თანხმობა. შესაბამისად, ადვოკატმა მკაფიოდ და ნათლად უნდა განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების თითოეული ეტაპისთვის რა ოდენობის ჰონორარია გადასახდელი და მით უფრო, წარმატების ჰონორარი.

კომისიამ ერთ-ერთ რეკომენდაციაში იმსჯელა ჰონორარის ოდენობის ნათლად განუსაზღვრელობამ რა რისკები შესაძლოა წარმოშვას მომავალში და აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, რა უნდა მოიმოქმედოს ადვოკატმა: „ჰონორარი რეკომენდირებულია განისაზღვროს იმ წესით, რომ საქმის წარმოების შეწყვეტისას არ იყოს სადაო, თუ რამდენი გამოიმუშავა ადვოკატმა უკვე განხორციელებული მომსახურებით. წარმოდგენილი ჰიპოთეტური ფაქტები არ იძლევა კონკრეტული დასკვნის გაკეთების საშუალებას. ყველაზე ნაკლებ დავას იწვევს ადვოკატის მიერ გაწეული დროით ანაზღაურება, საათობრივი ან დღიური. სხვა შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურება ეტაპობრივად, მტკიცებულებების მოპოვების, სარჩელის მომზადების, სასამართლო მოსამზადებელი ეტაპის, არსებითი განხილვის და სხვა უფრო დეტალური ეტაპებითაც. სხვა შემთხვევაში შესაფასებელი იქნება გაწეული სამუშაოს და გადახდილი ჰონორარის პროპორციულობა, რასაც კომისია აშკარა შეუსაბამობის სტანდარტით შეაფასებს. ყველა შემთხვევაში უმჯობესია ადვოკატის მიერ დეტალურად გაწერა მისი მომსახურების და ამისთვის მისაღები ჰონორარის. ეს იძლევა როგორც სამოქალაქო სამართლებრივი, ისე დისციპლინური დავების თავიდან არიდების საშუალებას. ასევე, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების სტანდარტულ პირობებში გადახდილი თანხების დაუბრუნებლობის თაობაზე შეთანხმება ბათილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი რეგულაციისთვის. იხ. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბერს საქმე დს-შ/17-16 გადაწყვეტილება„ (იხ. ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 008/19 22.11.2019).

ეთიკის კომისიას ერთ-ერთ რეკომენდაციით აგრეთვე ნამსჯელი აქვს ჰონორარის გადახდის წესზე, კერძოდ, რამდენად შეუძლია ადვოკატმა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის

გადასახდელი ჰონორარი უზრუნველყოფილი იყოს იპოთეკით ან გირავნობით, რადგან შემდგომში, თავად ადვოკატის ინტერესები იყოს დაცული. კომისიამ განმარტა, რომ „კლიენტის მიერ ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია ხელშეკრულების მეორე მხარეს (თავის კლიენტს) მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ადვოკატს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების - იპოთეკის ან გირავნობის გამოყენებით შეუძლია წინასწარ დააზღვიოს ის რისკები, რაც ჰონორარის კლიენტისაგან მიღებას უკავშირდება. ასეთ დროს, ადვოკატს შეუძლია თავიდან აიცილოს კლიენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის (ჰონორარის გადაუხდელობის) მძიმე შედეგები, რაც არ წარმოადგენს ეთიკური ვალდებულების დარღვევას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ჰონორარის გადახდის უზრუნველყოფის თაობაზე ადვოკატის შეთავაზება თავისთავად, მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის, რის გარეშეც ჰონორარის უზრუნველყოფა ვერ მოხდება. აღნიშნულის თაობაზე შეთანხმებისას, მნიშვნელოვანია ორივე მხარემ (ადვოკატისა და კლიენტის) თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, კანონის ფარლგებში, თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, განსაზღვრონ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსი, მათ შორის, ორი მხარის ნების საფუძველზე განისაზღვროს ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის უზრუნველყოფის საკითხი. ამასთანავე, ვინაიდან, საკითხი ეხება მისაღები გასამრჯელოს (ჰონორარის) უზრუნველყოფას, ეთიკის კომისიის აზრით, გამორიცხული უნდა იყოს შეთანხმება საურავზე და პირგასამტეხლოზე“. (იხ. ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 007/17 17.08.2017).

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ადვოკატისათვის კლიენტის მიერ გადასახდელი წარმატების ჰონორარის საკითხზე და განმარტა: „ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება ადვოკატის სამართლებრივი რისკია“. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე №ას-1161-1116-2016).

მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის მიერ მიღებული ან დაზოგილი თანხიდან გარკვეული პროცენტის ადვოკატისთვის გადახდა წარმოადგენს წარმატების ჰონორარს, როდესაც ადვოკატის გასამრჯელოს ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული მოვლენის დადგომაზე, შესაძლოა ეს უკავშირდებოდეს საქმის შედეგს, კლიენტისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემას, თანხის ამოღებას. სსკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით: „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“. შესაბამისად, სამომავლოდ გადასახდელი ჰონორარის თაობაზე მხარეებს შორის შეთანხმება

წარმოადგენს პირობადადებულ გარიგებას, რაც არ ეწინააღმდეგება ეთიკურ ვალდებულებებს და შესაბამისად, ადვოკატის უფლებაა კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვროს საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის სახე, მისი ოდენობა, მათ შორის მოითხოვოს წარმატების ჰონორარი.

შედეგად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ჰონორარი/წარმატების ჰონორარის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, მათ შორის იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე და კლიენტი იყოს ინფორმირებული გასამრჯელოს გადახდის წესზე და პირობებზე. შესაბამისად, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრულობა მნიშვნელოვანია, რითიც თავიდან იქნება არიდებული ადვოკატსა და კლიენტს შორის დავა ჰონორარის თაობაზე.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი წარმატების ჰონორარი განსაზღვროს, რაც შესაძლოა გამოიხატოს საქმის დასრულების შედეგად მიღებული ან დაზოგილი თანხიდან ადვოკატისთვის გარკვეული პროცენტის გადახდით, თუმცა მისი ოდენობა და გადახდის პირობები ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს და იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინფორმირებული თანხმობით, რაც გულისხმობს კლიენტისთვის წარმატების ჰონორარის გადახდის წესსა და პირობების თაობაზე განმარტებას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი /ცისმარი ონიანი/